

საქართველოს კანონი

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“  
საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №4(11), 1999 წელი) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 4. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები**

1. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის ნორმატიული აქტია კომისიის დადგენილება, რომელიც შეიძლება გამოიციეს მხოლოდ ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში.

2. ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი